# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 3

ქ. თეთრიწყარო                                15 ივნისი 2011 წელი

ერთის მხრივ ა.ა.ი.პ. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დირექტორი შოთა ეფხოშვილი (შემდეგში „დამკვეთი") და მეორეს მხრივ ფიზიკური პირი სოსო მახარაშვილი (შემდგომში „შემსრულებელი") ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ქ. თეთრიწყაროში საახალწლოდ გაკეთებული ილუმინაციების, მოწყობილობების, საახალწლო ნაძვის ხის დემონტაჟი და მისი დასაწყობება

## 2. ხელშეკრულების ფასი:

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება (გადასახადების გათვალისწინებით) შეადგენს 375 (სამასსამოცდათხუთმეტი) ლარს.

## 3. მხარეთა მოვალეობანი:

3.1. *„შემსრულებელი" ვალდებულია* დროულად და ხარისხიანად მოახდინოს ქ. თეთრიწყაროს საახალწლოდ გაკეთებული ქუჩებში ილუმინაციების დემონტაჟი და დასაწყობება მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში განკუთვნილ ოთახში.

3.2. *„დამკვეთი " ვალდებულია:* სამუშაოს დასრულების შემდეგ, ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე მოახდინოს დემონტაჟის ხარჯების ანაზღაურება

## 4. ანგარიშსწორება:

4.1. „დამკვეთი" მიერ „შემსრულებლისათვის" ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულებების გადახდა განხორციელდება (ნაღდი, უნაღდო) ანგარიშსწორებით

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა:

5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში „შემსრულებელი" ჯარიმდება., ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,2%-ით, იგივე პუნქტი ვრცელდება „დამკვეთზე".

## 6. მიღება-ჩაბარების წესი:

6.1. სამუშაოს შესრულების შემდეგ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე

## 7. ფორს-მაჟორი:

7.1. ხელშეკრულების დამდები, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

7.2. ფორს-მაჟორულ შემთხვევად ითვლება სტიქიური მოვლენები, ეპიდემია, შეიარაღებული კონფლიქტი, სამოქალაქო არეულობა, საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება.

## 8. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები:

8.1. ხელშეკრულება შეიძლება დაირღვეს:
- მხარეთა შეთანხმებით;
- ფორს-მაჟორული სიტუაციით;
- ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტა შესაძლებელია რომელიმე მხარის მიერ, წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

## 9. დავის გადაწყვეტა:

9.1. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა მხარეებს შორის წყდება მოლაპარაკების გზით.

9.2. თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში.

## 10. ხელშეკრულების შესრულების ვადა

10.1 ხელშეკრულება ძალაშია 2011 15 იანვრიდან 2011 31 იანვრამდე.

## 11. მხარეთა იურიდიული მისამართი

„დამკვეთი“:
ა.ა.ი.პ. თეთრიწყაროს
მუნიციპალიტეტის
კულტურის ცენტრი
ქ.თეთრიწყარო რუსთაველის №9
ს/კ 430797140

„შემსრულებელი“
ფიზიკური პირი
სოსო ბახტაძე
პირადი №22001017306
ქ.თეთრიწყარო [illegible] №54

## 12. მხარეთა ხელმოწერები:

დირექტორი: შ. ეფხოშილი

სოსო ბახტაძე